


რეგისტრაციის გასავლელად ან სისტემაში შესასვლელად გამოიყენება ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის აპლიკანტის პორტალი.

რეგისტრაციის გვერდზე შესვლისთანავე გაიხსნება აპლიკანტის პორტალის გვერდი.

აპლიკანტის პორტალი



ელექტრონული ფოსტა

პაროლი

ავტორიზაციის დამახსოვრება

დაგავიწყდა პაროლი? [შესვლა](#)

ახალი აპლიკანტის რეგისტრაცია

შექმნილია ასევე საქართველოს მიერ

აღნიშნული კომპიუტერული პროგრამა შექმნილია ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით

აპლიკანტის პორტალში შესასვლელად უნდა შეიყვანოთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი და სისტემაში შესასვლელი პაროლი. თუ თქვენ პირველად შედიხართ სისტემაში აუცილებელია გაიაროთ რეგისტრაცია შესაბამის ჩანაწერზე დაჭერით – „**ახალი აპლიკანტის რეგისტრაცია**“.

რეგისტრაციის პროცესში სავალდებულოა ყველა ველის შევსება.

აპლიკანტის რეგისტრაცია ქართული კლავიატურა (~)


პირადი ინფორმაცია

სახელი	<input type="text"/>
გვარი	<input type="text"/>
მამის სახელი	<input type="text"/>
პირადი ნომერი	<input type="text"/>
სქესი	<input type="text"/>
ოჯახური მდგომარეობა	<input type="text"/>
დაბადების თარიღი	<input type="text"/>
დაბადების ადგილი	<input type="text"/>

საკონტაქტო ინფორმაცია

სახლის ტელეფონი	<input type="text"/>
მობილური ტელეფონი	<input type="text"/>


მისამართი

საცხოვრებელი მისამართი	<input type="text"/>
ქალაქი	<input type="text"/>
ქვეყანა	<input type="text"/>
რეგისტრაციის მისამართი	<input type="text"/>
 ქალაქი	<input type="text"/>
ქვეყანა	<input type="text"/>

მომხმარებელი და პაროლი

ელექტრონული ფოსტა	<input type="text"/>
პაროლი	<input type="text"/>
გაიმეორეთ პაროლი	<input type="text"/>

შეიყვანეთ სურათზე მოცემული სიმბოლოები




მონაცემების შევსების შემდეგ შეიყვანეთ საკონტროლო პარამეტრი, რომელიც მოცემულია „**შეიყვანეთ სურათზე მოცემული სიმბოლოები**“ ნაწილში და დააჭირეთ ღილაკს „**რეგისტრაცია**“. აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით რეგისტრაციის პროცესი დასრულდება, რის შემდეგაც თქვენ მოგეცემათ სისტემაში შესვლის საშუალება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ:

1. თქვენს მიერ შეყვანილი ინფორმაცია უნდა იყოს სრულყოფილი. ინფორმაციის გადამოწმება ხორციელდება სისტემის ადმინისტრატორის მიერ.
2. სისტემაში რეგისტრაცია უნდა გაიაროთ მხოლოდ ერთხელ. შემდგომში საჭიროა მხოლოდ თქვენი ელექტრონული ფოსტისა და თქვენს მიერ შექმნილი პაროლის მეშვეობით სისტემაში შესვლა.

სისტემაში შესვლის შემდგომ თქვენ დაინახავთ იმ ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ თქვენთვის არის განკუთვნილი.



ყოველი სიახლის ან შეტყობინების შესახებ ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია შეტყობინებების ნაწილში, სადაც თქვენ შეგიძლიათ მოხვდეთ მარჯვენა ზედა კუთხეში არსებული „შეტყობინებები“ ლილაკზე ან ეკრანის ცენტრალურ ნაწილში არსებული „წაუკითხავი შეტყობინებები“-ს ნაწილში არსებული ჩამონათვალიდან, შესაბამისი შეტყობინების სათაურზე დაჭერით.

შეტყობინებების ნაწილში მოგეწოდებათ ის შეტყობინებები, რომლებიც თქვენთვის მნიშვნელოვანია. ეს შეტყობინებები ასევე მოიცავს თქვენს ან ადმინისტრატორის მიერ გავლილ ეტაპებს. ამიტომ პერიოდულად უნდა შეხვიდეთ აპლიკანტის პორტალის თქვენს გვერდზე და ყურადღებით გაეცნოთ მიღებულ შეტყობინებებს.

შეტყობინებებში მოსული ინფორმაცია ასევე მოგეწოდებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ამიტომ რეგისტრაციისას ყურადღებით შეიყვანეთ ელექტრონული ფოსტის მისამართი.

სისტემაში შესვლის შემდეგ გამოცხადებული რეგისტრაციის და/ან გამოცდების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ **საკვალიფიკაციო გამოცდების** ნაწილში.

„საკვალიფიკაციო გამოცდა“ პუნქტზე დაჭერით გაიხსნება ნაწილი, სადაც იქნება ყველა გამოცხადებული გამოცდის და/ან გამოცდაზე რეგისტრაციის ჩამონათვალი.



მთავარი

საკვალიფიკაციო გამოცდა

საკვალიფიკაციო გამოცდა

ყურადღებით! აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ერთი სპეციალიზაცია, განაცხადის შეტანის შემდეგ სპეციალიზაციის შეცვლა არ შეიძლება.

საერთო სპეციალიზაცია

რეგისტრაციის ბოლო ვადა: 16.03.2014

განაცხადის შეტანა

სისხლის სამართლის სპეციალიზაცია

რეგისტრაციის ბოლო ვადა: 16.03.2014

განაცხადის შეტანა

ჩამონათვალიდან აირჩიეთ თქვენთვის სასურველი გამოცდა და დააფიქსირეთ მონაწილეობის სურვილი.

ყურადღებით აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ერთი სპეციალიზაცია. განაცხადის შეტანის შემდეგ სპეციალიზაციის შეცვლა არ შეიძლება

განაცხადის შეტანა ხორციელდება შესაბამისი სახელის ღილაკზე დაჭერით.
განაცხადის შეტანისას უნდა შეიყვანოთ დამატებითი ინფორმაცია.

სისტემაში უნდა აიტვირთოს შემდეგი დოკუმენტების ელექტრონული (სკანირებული) ასლები:

1. ფერადი ფოტო სურათი;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი საბუთი დიპლომი და/ან ცნობა;

(საზღვარგარეთ მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლების შემთხვევაში, გამოცდის ჩაბარების მსურველმა გამოცდაზე რეგისტრაციისას, უნდა წარმოადგინოს ცნობა/წერილი "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან", მისი დიპლომის აღიარების შესახებ).

4. გამოცდის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (გამოცდის საფასური შეადგენს 190 ლარს)
 - საფასურის გადანდა ხორციელდება შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

VTB ბანკის კოდი - UGEBGE22

ანგარიშის ნომერი - GE85VT 6600 0000 6269 3608


ადვოკატთა ასოციაციის საიდენტიფიკაციო კოდი - 202 255 692

სურათის ატვირთვა ხორციელდება საიდენტიფიკაციო მონაცემებში არსებული „რედაქტირება“ ღილაკზე დაჭერით. გაიხსნება თქვენს მიერ შეყვანილი ინფორმაცია, რომელთა ნაწილის კორექტირებაც შესაძლებელია. აქვე შეძლებთ ფოტოს ატვირთვას შესაბამის ღილაკზე დაჭერით. ფოტოს ატვირთვის შემდეგ, ინფორმაციის შენახვისთვის დააჭირეთ ღილაკს „შენახვა“.

საიდენტიფიკაციო დოკუმენტების, უმაღლესი განათლების და გადახდის ქვითრის ასატვირთად, შესაბამის ნაწილში დააჭირეთ ღილაკს „დამატება“. შეავსეთ გამოტანილი ინფორმაცია, „Choose File“ ღილაკის გამოყენებით ატვირთეთ ფაილი და დააჭირეთ ღილაკს დამატება.

ყველა ნაწილში მონაცემების შეყვანისა და ფაილების ატვირთვის შემდეგ, რეგისტრაციის პროცესის დასასრულებლად, გაეცანით წესებს და პირობებს, შესაბამის ჩანაწერზე დაჭერით, მონიშნეთ ველი „ვეთანხმები“ და დააჭირეთ ღილაკს „განაცხადის შეტანა“.

რაიმე ინფორმაციის არასრულად შევსების შემთხვევაში ეკრანზე გამოვა შეტყობინება, სადაც მითითებული იქნება არასრულად შევსებული პუნქტები.



თქვენს მიერ შეყვანილი ინფორმაცია შეინახება სისტემაში და გადამოწმდება სისტემის ადმინისტრატორის მიერ.

თუ თქვენს მიერ შეყვანილი ინფორმაციის რაიმე ნაწილი საჭიროებს კორექტირებას, ან დამატებითი ფაილების ატვირთვას, ადმინისტრატორის მიერ არ მოხდება თქვენი მონაცემების დადასტურება და თქვენ მიიღებთ შესაბამის შეტყობინებას.

ინფორმაციის და ატვირთული ფაილების სისწორის შემთხვევაში ადმინისტრატორი დაადასტურებს მონაცემებს და თქვენ მოგეცემათ საშუალება ჩაეწეროთ გამოცდაზე.

თქვენ ასევე მიიღებთ შეტყობინებას გამოცდის თარიღის დანიშვნის შესახებ.

გამოცდების შესახებ ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია „საკვალიფიკაციო გამოცდის“ ნაწილში.

გამოცდაზე ჩაწერის შემდგომ თქვენ მოგენიჭებათ **სესიის კოდი**, რომელსაც მიიღებთ შეტყობინების სახით პორტალში და ასევე გამოგეგზავნებათ ელექტრონულ ფოსტაზე. სესიის კოდის მეშვეობით შეძლებთ გამოცდაზე საგამოცდო სისტემაში შესვლას.

გამოცდაზე გამოცხადების დროს სავალდებულოა თან იქონიოთ საგამოცდო სესიის კოდი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და საგამოცდო სესიის კოდის გარეშე აპლიკანტი გამოცდაზე არ დაიშვება.